პ რ ო ე ქ ტ ი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №---

2023 წლის --- სექტემბერი

ქ. ბათუმი

„მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 აგვისტოს №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1

„მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 აგვისტოს N18 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი matsne.gov.ge, 04/08/2021; სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.132.016524) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ელექტრონული პლატფორმის გამოყენების, სისტემის მომხმარებლების პერსონალური მონაცემის დამუშავების წესებს და პირობებს ამტკიცებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (მის სისტემაში შემავალი ორგანიზაცია) უფლებამოსილია ამ მუხლით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღოს და გამოიყენოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული პერსონალური მონაცემები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

„ დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა “

თვითმმართველი ქალაქის _ ბათუმის
საკრებულოს განკარგულება
2010 წლის 29 ოქტომბერი №129

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

“მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 აგვისტოს N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

“მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 აგვისტოს N18 დადგენილება განსაზღვრავს მონაწილეობითი ბიუჯეტის („იდეა ბათუმს“) შედგენის წესსა და აღსრულების პირობებს, რომელიც ითვალისწინებს იდეების რეგისტრაციას და შემდგომში საჯარო ხმის მიცემას ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით. პლატფორმის მართვის, მასზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, იდეების რეგისტრაციის და საჯარო ხმის მიცემის წესები, N18 დადგენილების თანახმად, რეგულირდება მერის ბრძანებით. მომხმარებელთა რეგისტრაციისას პირის იდენტიფიცირება ხდება სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) მონაცემთა ელექტრონული ბაზის გამოყენებით, რა მიზნითაც 2019 წლიდან სააგენტოსთან გაფორმებულია მემორანდუმი და ყოველწლიურად ხდება მისი განახლება. მემორანდუმის განახლებას წინ უძღვის სააგენტოსადმი წერილობითი დასაბუთება, მონაცემთა ბაზის გამოყენების აუცილებლობაზე, გარდა ამისაარსებული მემორანდუმის ფარგლებში აუცილებელია მომხმარებლად დარეგისტრირებამდე დაინტერესებულმა პირმა პლატფორმაზე წარადგინოს (ატვირთოს) წერილობითი თანხმობა, პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, რომელიც უნდა იყოს მის მიერ ხელმოწერილი მატერიალური სახით ან ელექტრონული ხელმოწერის სახით, აღნიშნული კი გარკვეულწილად აფერხებს მომხმარებელთა რეგისტრაციას. სააგენტოს მხრიდან განმარტებულ იქნა რომ, თუ სააგენტოს მონაცემთა ბაზის გამოყენება გათვალისწინებული იქნება ნორმატიული აქტით, გამარტივდება მემორანდუმის გაგრძელების და მომხმარებელთა რეგისტრაციის პროცესი (პერსონალურ მონაცემთა გამოყენებაზე თანხმობის გაცხადების ნაწილში)

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

“მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 აგვისტოს N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:
პროექტის განხორციელება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან
საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“,
საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიოული აქტების შესახებ“

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები
სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

ე) პროექტის ავტორი:
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:
ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

მოამზადა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური პოლიტიკის
სამსახურის უფროსი **რუსუდან ჟოჟაძე**